



УДК 159.9

KOPALIANI Kakhi,
PhD in Psychology, Georgia

MOTIVATIONAL FEATURES OF THE PSYCHOLOGY OF TESTIMONY

The paper deals with the different motives on which the witness's testimony is based on during the questioning process. Every witness as an individual, has a certain attitude towards such social event, as a crime. This attitude is mostly reflected in the motivation of giving testimony. Accordingly, the fact who the witness is, what kind of life and behaviour principles he/she has, is a matter of essential importance for psychological assessment of testimony.

Key words: Purpose of behavior, Motive, Testimony motive, Ways of establishing motives of giving testimony, Questioning process, Questioning conditions, Credibility of the testimony.

კოპალიანი კახი,

ფსიქოლოგიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
საქართველო

ჩვენების ფსიქოლოგიის მოტივაციური თავისებურებები

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია, დაკითხვის პროცესში მოწმის მიერ ჩვენების მიცემის საფუძვლად მდებარე განსხვავებული მოტივები. საუბარია ჩვენების მოტივების დამდგენი ხერხების შესახებ, რითაც განისაზღვრება დასაკითხი პირის ქცევის მოტივები. დეტალურად არის აღწერილი გამომძიებლის მიერ მოწმისათვის სუბიექტურად მისაღები გარემოს შექმნისა და გამომძიებელსა და მოწმეს შორის თანამშრომლობის ტიპის ურთიერთობის ჩამოყალიბების მნიშვნელობა.

ასევე ხაზგასმულია ჩვენების ჩამოყალიბების პროცესში, იმ სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინების მნიშვნელობა, რომლებიც ვლინდება სამართლებრივ საქმესთან ხვადასხვავარ დამოკიდებულებაში მყოფ და ფსიქიკურად ერთიმეორისაგან განსხვავებულ პირებთან.

საკვანძო სიტყვები

ქცევის მიზანი, მოტივი, ჩვენების მოტივი, ჩვენების მოტივების დამდგენი ხერხები, დაკითხვის პროცესი, დაკითხვის პირობები, ჩვენების სანდოობა.

ყოველგვარ აქტივობას განახორციელებს სრულიად გარკვეული ქცევის სუბიექტი, მოცემული ქცევის კონკრეტული მიზანდასახულებიდან გამომდინარე. შესაბამისად ყოველ ქცევას აქვს გარკვეული მიზანი, რომლის მიღწევასაც სუბიექტი გადაწყვეტილების მიღების დროს ითვალისწინებს. გადაწყვეტილება სუბიექტს გარკვეულ მოსაზრებათა ანუ მოტივთა საფუძველზე გამოაქვს.

მოწმის ჩვენება ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქცევა შესაბამის მოტივაციურ საფუძველზე აღმოცენდება. მოტივი წარმოადგენს ქცევის ფსიქოლოგიურ საბუთს, ანუ სუბიექტის პასუხს საკუთარი თავისადმი დასმულ კითხვაზე, თუ რატომ უნდა იზრუნოს მან ასეთი მიზნის მიღწევაზე, რა მნიშვნელობა ანუ ღირებულება ექნება ასეთი ქცევის შედეგებს მისთვის [6]. ჩვენების მისაცემად მოწმის დაკითხვაზე გამოცხადების მოტივი სხვადასხვა შინაარსის შეიძლება იყოს. თუმცა იშვიათია შემთხვევები, როდესაც მოწმეები ჩვენების მისაცემად, მხოლოდ იმის გამოცხადებიან დაკითხვაზე, რომ ეს მათი მოვალეობაა, რომლის შესრულება მათ სიამოვნებასაც ანიჭებს. სინამდვილეში, როგორც ცხოვრებისეული დაკვირვება გვიჩვენებს, ადამიანთა უმრავლესობისათვის, მოწმის როლში გამოსვლის ძირითად მოტივს წარმოადგენს კანონისმიერი იძულება, შეასრულოს თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა. შესაბამისად მოწმეთა უმრავლესობისათვის, ჩვენების მიცემა არის კანონის მოთხოვნებით მოტივირებული ქცევა.

რაც შეეხება დაკითხვას, მისი მიზანია სრული და ობიექტური სინამდვილის გამომხატველი ჩვენების მიღება, რომლის მისაღწევად სხვადასხვა ფსიქოლოგიური ხერხები გამოიყენება, მათ შორისაა ჩვენების მოტივების დამდგენი ხერხები. ესაა კითხვების სერია, რითაც განისაზღვრება დასაკითხი პირის ქცევის მოტივები. დაკითხვის დროს, როდესაც მოწმე ჩვენებას იძლევა მისი მოტივაცია ამ პროცესში ჩვეულებრივ ვლინდება. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირადაა ისეთი შემთხვევები, როდესაც «გულწრფელი» ჩვენების მიღმა იმალება მოწმის მიერ მოფიქრებული პოზიცია, რომლის მიზანია გამომძიებლის შეცდომაში შეყვანა [3].

მოწმის ჩვენების შესწავლისას არსებითი ყურადღება დაეთმო კითხვების დასმის და ინტერვიუს ჩატარების კავშირს მოწმის მიერ ფაქტების აღდგენის სისწორესა და სისრულესთან. მოწმეთა ინტერვიუების თავისებურებანი (ინტერვიუს აგების წესი, შეკითხვების ტიპი – შეცდომაში

შემყვანი კითხვები, განმეორებითი კითხვები და სხვა) განაპირობებს იმას, თუ რამდენად ზუსტ და ამომწურავ ინფორმაციას იძლევიან ისინი მომხდარის შესახებ [4].

ძალიან ეფექტური გამოდგა მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოწმის მიერ მოცემული სწორი პასუხების რაოდენობის გაზრდა და მცდარი პასუხების მინიმუმზე დაყვანა. ასევე საკმაოდ პოპულარულია ე.წ. «კოგნიტური ინტერვიუს» მეთოდი [8], რომელიც ფიშერმა და მისმა თანაავტორებმა კოგნიტური ფსიქოლოგიის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშავეს, სადაც ძირითადი ელემენტია კონტექსტის აღდგენა. «კოგნიტური ინტერვიუს» დაახლოებით 25-30%-ით უფრო ზუსტ ინფორმაციას იძლევა, ვიდრე სტანდარტული ინტერვიუს [7].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მოწმეთა უმრავლესობისათვის, ჩვენების მიცემა არის კანონის მოთხოვნებით მოტივირებული ქცევა. დაახლოებით ასეთ მოტივაციურ ფონზე იწყება გამომძიებლისა და მოწმის ურთიერთობა. ამ თვალსაზრისით, გამომძიებლის უპირველეს ამოცანას დაკითხვის ისეთი სიტუაციის შექმნა შეადგენს, რომელიც მოწმისათვის ჩვენების მიცემის ქცევას სუბიექტურად უფრო მისაღებს გახდის და უზრუნველყოფს ურთიერთობის ისეთი ფორმის დამყარებას, როგორც თანამშრომლობაა.

პირობები, რომელიც დაკითხვაზე უნდა შექმნას გამომძიებელმა დასაკითხი პირისათვის, კარგად არის აღწერილი ი. ამინოვის მიერ. ამ ავტორის თანახმად გამომძიებლის ქცევის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ასეთია. სახელდობრ, მან უნდა:

- მოქნილად გაითვალისწინოს დასაკითხის პიროვნული თავისებურებები, მოიქცეს კორექტულად, მაღალ კულტურულ დონეზე;
- განჭვრიტოს დასაკითხის აქტუალიზებული მოთხოვნები, გაითვალისწინოს მისი ფსიქიკური მდგომარეობა;
- არ გამოამჟღავნოს ისეთი რამ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დასაკითხის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამომძიებლის მიმართ;
- პირველ პლანზე წამოსწიოს ის გარემოება, რითაც დაინტერესებულია დასაკითხი პირი;
- დაეყრდნოს დასაკითხი პირის დადებით პიროვნულ თვისებებს, განსაკუთრებით იმას, რასაც დიდად აფასებს თავად დასაკითხი;
- იცოდეს და გამოიყენოს დასაკითხის ბიოგრაფიიდან მეტად არსებითი ეპიზოდები;
- გადალახოს საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება დასაკითხის მიმართ, არ დაუშვას მის მიმართ გულგრილი მოპყრობა;
- ყურადღებით მოექცეს ყველა ჩვენებას, მიუხედავად მათი სიმართლისა, თავი შეიკავოს ექსპრესიული გამოვლენებისგან (აღტაცება, სიხარული, გამოხატულმა ჟესტებმა, მიმიკამ შეიძლება გამოიწვიოს შთაგონებითი ზემოქმედება ან დასაკითხ პირს მიაწოდოს გარკვეული ინფორმაცია) [1].

პირველ რიგში, დაკითხვის პროცესში მოწმესა და გამომძიებელს შორის საჭიროა მოიხსნას ყოველგვარი უნდობლობა და განიმუხტოს ემოციური დამაბულობა, რომელიც, როგორც ითქვა, მოწმისათვის სრულიად ბუნებრივ განცდას წარმოადგენს, ასევე ბუნებრივია შეცდომები და ლოგიკური წინააღმდეგობები მოწმის მონათხრობში. ასეთი ბუნდოვანი საკითხები თანდათანობით უნდა გაირკვეს. მოწმეს დახმარება უნდა გაუწიოთ მოვლენათა სწორად აღდგენაში და ყოველმხრივ ვაგრძნობინოთ, რომ მისგანაც დახმარებას მოველით, რასაც ძალიან ვაფასებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოწმე უფრო მეტად ჩაიკეტება თავის თავში და გვეტყვის მხოლოდ იმდენს, რამდენსაც სიტუაციურად ჩათვლის საჭიროდ. ხოლო, თუ იგი ხედავს, რომ ჩვენ მას არ ვენდობით, სწორ ინფორმაციაშიც ეჭვი შეგვაქვს და მის პიროვნებას სათანადო პატივისცემით არ ვეპყრობით, თანამშრომლობის ნაცვლად, შესაძლოა დაპირისპირების (კონფლიქტის) ტიპის ურთიერთობა მივიღოთ.

მოწმესთან გულითად დამოკიდებულებასთან ერთად, გამომძიებელი სიმპათიას უნდა იწვევდეს თავისი კომპეტენტურობით, საუბრის ძალდაუტანებელი მანერით, წესრიგიანობით და თვით გარეგნობის მთელი რიგი პარამეტრებით. რაც მთავარია, მოწმე უნდა გრძნობდეს, რომ მას აღიქვამენ, როგორც თავისთავადი ღირებულების მქონე პიროვნებას. მეორე მხრივ, გულითადობისა და თანასწორი ურთიერთობისაკენ მისწრაფება არ უნდა გადაიზარდოს ყალბ ფამილარობაში და პირმოთენობაში. ჩვენების მიცემის მოტივაცია მნიშვნელოვნად ძლიერდება მაშინ, როდესაც, მოწმე ხვდება, რომ გამომძიებელი პროფესიონალურადაა დაინტერესებული მხოლოდ ჭეშმარიტების დადგენით და ნამდვილად ღირს ამ საქმეში მისთვის დახმარების გაწევა.

არის შემთხვევები, როდესაც მოწმე ყოყმანობს, ვერ გადაუწყვეტია თქვას თუ არა ყველაფერი, რაც იცის, ვერ რისკავს პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას. ასეთ შემთხვევაში გამომძიებელმა მოწმეს უნდა გაუწიოს ფსიქოლოგიური დახმარება და გამოიხსნოს ისეთი გზა, რომლითაც მოწმეს წახალისებს ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებაში. გარკვეულ პირობებში შეიძლება მივმართოთ მოწმეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ისეთ საშუალებებსაც, რომლებიც კანონითაა დაშვებული, მაგრამ დიდი სიფრთხილვით საჭირო, რომ ფსიქოლოგიური დახმარება თუ ზემოქმედება არ გადაიზარდოს კანონით აკრძალულ, ფსიქოლოგიურ ზეწოლაში. კანონი კრძალავს ჩვენების გამოძალვას ისეთი ფსიქოლოგიური ძალადობით, როგორცაა მუქარა, შანტაჟი,

მოტყუება, უსაფუძვლო დაპირებანი, სარგებლობა პიროვნების უცოდინრობით, ემოციური გაუწონასწორობლობით და სხვა ფსიქიკური ნაკლოვანებით.

კონკრეტული დასაკითხი პირის სუბიექტური დამოკიდებულება იმ კონკრეტულ სამართლებრივ საქმესთან, რომლის შესახებაც ჩვენებს იძლევა, უმეტესწილად გარეგნულადაც გამოხატება შესაბამის ემოციებთან დაკავშირებული ფსიქო-სომატური რეაქციების სახით (არტერიული წნევის მომატება, გაწითლება ან გაფითრება, ცახცახი, ხმის ტემბრის შეცვლა და სხვა). ასეთი რეაქციების «დაჭერაც», მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვცემს დასაკითხი პირისა და საქმის ზოგიერთ გარემოებათა შესახებ [2]. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მალზე დიდი ხანია, რაც კრიმინოლოგიურ პრობლემებზე მომუშავე მეცნიერები თავს იმტვრევენ ისეთ მეთოდთა სისტემის შექმნაზე, რომელიც შეგვამღებინებს დაკითხვის პროცესში სუბიექტის ფარული განცდების გამოცნობას. ამისათვის ფართოდ იყენებენ სპეციალურ აპარატს, პოლიგრაფს ანუ «სიცრუის დეტექტორს». გამოსაკვლევ პირს, სხეულის სათანადო უზნებზე მიამაგრებენ ელექტროდებს გარკვეულ სომატურ რეაქციათა (გულისცემის რიტმი, სუნთქვა, არტერიული წნევა, კანის ელექტროგამტარობა) გასაზომად და პოლიგრაფი იწერს მათ მონაცემებს. ამ პარამეტრთა საწყისი მდგომარეობის დადგენის შემდეგ ცდისპირს აძლევენ ისეთ კითხვებს, რომლებიც ნეიტრალურია შემთხვევითი პიროვნებისათვის და გარკვეული სუბიექტური მნიშვნელობის მქონეა საქმესთან დაკავშირებული პირისათვის. ამ უკანასკნელის შინაგანი მდგომარეობა (თუ იგი რაიმეს მალავს ან ცრუობს) აისახება პოლიგრაფზე.

როგორც წესი, ამ მეთოდსაც ყავს მომხრეები და მოწინააღმდეგეები. მისი კრიტიკოსების ნამდვილად ანგარიშგასაწევ არგუმენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ დაკითხვის სიტუაციაში მოხვედრილი შემთხვევითი ადამიანიც უმეტესწილად საკმაოდ მძაფრ ემოციურ მდგომარეობაში განიცდის და ისეთ ფსიქოსომატურ რეაქციებს ავლენს, რომელსაც პოლიგრაფი სიცრუის მაჩვენებლად აფიქსირებს. მეორეს მხრივ, გამოცდილი დამნაშავეები, ნებისყოფის ძალით, ახერხებენ საკუთარი ფსიქიკური განცდების და შესაბამისი ფიზიოლოგიური პროცესების ისეთ კონტროლს, რომ პოლიგრაფიც უძლურია რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება დააფიქსიროს.

თავად პოლიგრაფისტების აზრით, მათი მეთოდი სანდოა 90%-ით, ამავე მეთოდის დასაცავად მიუთითებენ იმ გარემოებაზეც, რომ ზოგიერთ დამნაშავესა და ცრუ მოწმეს თავად აპარატურის გამოცდის სიტუაცია აიძულებს ილაპარაკოს სიმართლე, რადგან ბრმადაა დარწმუნებული პოლიგრაფის უსაზღვრო შესაძლებლობებში.

მოკლედ, ასეა თუ ისე, უნდა გახსოვდეს, რომ დაკითხვის მსვლელობისას, გამომძიებლის ყველა მოქმედება, განსაკუთრებით კი ისეთი რეაქციები, რომლებიც მიწოდებულ ცნობებთან მის ემოციურ დამოკიდებულებას გამოხატავს, ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მოწმეზე. სოციალური ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ კითხვა-პასუხის პროცესში, ადამიანთა უმრავლესობა ამჟღავნებს მიდრეკილებას, თანამოსაუბრეში დადებითი ემოციების გამომწვევი პასუხების გამრავლებასა და უარყოფითი ემოციების გამომწვევი პასუხების შემცირებისაკენ [5]. ეს ფსიქოლოგიური კანონზომიერება, თუ იგი თავიდანვე არ იქნა გათვალისწინებული და გამორიცხული, ჩვეულებრივად ამოქმედდება გამომძიებლისა და მოწმის ურთიერთობის პროცესშიც ორივე მხარისათვის შეუმჩნეველად, რის შედეგსაც წარმოადგენს ის, რომ ხშირად გამომძიებელი ღებულობს არა ობიექტურ, არამედ საკუთარი ვარაუდების დამადასტურებელ ცნობებს.

ყოველ მოწმეს, როგორც პიროვნებას, სრულიად გარკვეული დამოკიდებულება აქვს ისეთი სოციალური მოვლენის მიმართ, როგორც დანაშაულია. ეს დამოკიდებულება, ყველაზე ძლიერად, ჩვენების მიცემის მოტივაციაში აისახება. შესაბამისად იმის გათვალისწინებას, თუ ვინაა მოწმე, როგორია ამ პიროვნების ცხოვრებისა და ქცევის ძირითადი პრინციპები, არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენების ფსიქოლოგიური შეფასებისათვის.

ამგვარად ჩვენების ჩამოყალიბების პროცესის ზოგადი დახასიათებისას, მნიშვნელოვანია იმ სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინება, რომლებიც ვლინდება სამართლებრივ საქმესთან ხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაში მყოფ და ფსიქიკურად ერთიმეორისაგან განსხვავებულ პირებთან. ის ზოგადი კანონზომიერებები კი, რომლებიც ზემოთ დავახასიათედ ვფიქრობთ აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული დაკითხვის ჩატარების პროცესში.

ლიტერატურა:

1. ამინოვი ი. იურიდიული ფსიქოლოგია. თბილისი 2014. გვ. 225-226.
2. მალრაძე მ. ჩვენების ჩამოყალიბების პროცესი. ქუთაისი 2000.
3. მერაბიშვილი გ. ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია. თბილისი 1998 გვ. 184-185.
4. ნადარეიშვილი ვ. ჩხეიძე თ. სამართალი და ფსიქოლოგია. დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე. თბილისი 2008, # 1. გვ. 150-153.
5. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი 1975.
6. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. ტ. III-IV თბილისი 1998.
7. Gudjonsson G. & Clark N. K. Suggestibility in police interrogation: A social psychological model. Social Behaviour, 1, 1986, 83-104.
8. Friedman L. M.. The law and society movement. Stanford Law Review, 1986, 38. 763-780.